ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების გაერთიანებული კომისიის სხდომის

ოქმი #2

20- ნოემბერი 16.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლ.არველაძე, ი.ჯიშკარიანი, ნ.ლაცაბიძე, მ.ამაშუკელი, ა.ხუჯაძე, ქ.მამულაშვილი, ლ.დარახველიძე, ფ.ინჯია, მ.დათუკიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ტოგონიძე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ო.გრიგოლია

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2018** წლის ბიუჯეტის პროექტისა და **2018-2021** წლების პრიორიტეტების დოკუმენტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარდგენის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ალექსანდრე ტოგონიძემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრებს წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები:

ბიზნესის სტიმულირება - დაფინანსდება 1050.0 ათასი ლარით;

პროგრამა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის მასშტაბით მდგრადი ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერას; პროგრამის ამოცანებია მუნიციპალიტეტის ფარგლებში ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბება, ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების განვითარების ხელშეწყობა და თბილისში 31 რეგისტრირებული ან მოქმედი სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობის მხარდაჭერა. მიზნების მისაღწევად, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქისათვის პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორების შერჩევა და მხარდაჭერა ღონისძიებებით: დარგის პოპულარიზაცია; დარგის საჭიროებიდან გამომდინარე მცირე ინფრასტრუქტურის შექმნა; სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება/განვითარებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

თბილისის განვითარების კვლევები,სტრატეგიები და პროექტები - დაფინანსდება 1200,0 ათასი ლარით;

თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში - 794,0 ათასი ლარით;

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა – 965,0 ათასი ლარით;

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით შემომყვანი და ადგილობრივი ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა. პროგრამის ამოცანებია შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, სახვადასხვა ღონისიებების, ფორუმების, კონფერენციების, გამოფენების გამართვის/მონაწილეობის გზით თბილისის პოპულარიზაცია, მიმზიდველობის ზრდა, მიზნობრივი ბაზრებიდან ტურისტების მოზიდვა, ტურისტულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა. მიზნების მისაღწევად, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა; ქალაქის რეკლამირება მიზნობრივ ბაზრებსა და ღონისძიებებზე; ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში შესაბამისი მასალების განთავსება; ტურისტების საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია – 736,0 ათასი ლარით;

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება – 2100,0 ათასი ლარი;

პროგრამის მიზანია ქალაქის მასშტაბით ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშეწობა და განვითარება, კერძოდ: ქალაქის მასშტაბით და მუნიციპალურ სერვისებში ინოვაციური პროექტების მომზადება და განხორციელება; საერთაშორისო ვალდებულების "მერების შეთანხმება" -ის ფარგლებში საპილოტე პროექტების განხორციელება, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ქალაქში CO2 შემცირება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (კოდი: 04 10) პროგრამის მიზანია ქალაქის მასშტაბით ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშეწობა და განვითარება, კერძოდ: ქალაქის მასშტაბით და მუნიციპალურ სერვისებში ინოვაციური პროექტების მომზადება და განხორციელება;

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ო.გრიგოლიამ, ნ.ლაცაბიძემ, ლ.დარახველიძემ, ფ.ინჯიამ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხები:

მომხრე --- 9

წინააღმდეგი --- 1 (მ.დათუკიშვილი)

თავი შეიკავა --- 0

გადაწყვიტეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი უნდა შეიცვალოს ფუნქციურად, ორიენტირებული უნდა იქნას კვლევებზე, ტურიზმისა და უცხოური ინვესტიციების მიმართულები; საჭიროა ავარიული სახლების კვლევა; საინვესტიციო პორტფელების შექმნა; კვლევები ადგილობრივი გადასახადების გაზრდის კუთხით, არსებული მოსაკრებლების ანალიზი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიას მიზანშეწონილად

მიაჩნია ქ.თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნას ზემოაღნიშნული პრიორიტეტები (სამართლებრივი დასკვნა თან ერთვის).

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია